



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 50

26 06 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის
N03/7156 წერილის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 ივნისის სხდომის N10 ოქმის მე-5 საკითხის შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და 106¹ მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7156 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მოახდინოს მუნიციპალიტეტის მიერ 100%-ანი წილით დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამი საწარმოს: შ.პ.ს. „კომუნალური მეურნეობა ა“-ს (ს/ნ. 234229830), შ.პ.ს. „ახალი მარნეული“ (ს/ნ. 434161881) და შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი ალგეთი“-ს (ს/ნ. 234214007) ლიკვიდაცია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა №4), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი